

Green Caucasus	სარისხის სახელმძღვანელო Quality Manual	კოდი/Code GC/DM/QM-10.1
----------------	---	----------------------------

სარისხის სახელმძღვანელო

ISO/IEC-17065-ის მიხედვით



ბრინ კაუკაზუსი

შპს კაუკასუსერტი – შპს ეკოგლობი

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 1-19- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	------------------

Green Caucasus	ხარისხის სახელმძღვანელო Quality Manual	კოდი/Code GC/DM/QM-10.1
----------------	---	----------------------------

წინასიტყვაობა

გრინ კაუკაზუსის ხარისხის სისტემა არის შპს კავკასსერტის და შპს ეკოგლობის ექსკლუზიური საკუთრება.

გრინ კაუკაზუსის სისტემის შესაბამისი ინტერპრეტაციის გაკეთების უფლება აქვს მხოლოდ კავკასსერტსა და ეკოგლობს.

გრინ კაუკაზუსის ხარისხის სისტემა არის კონფიდენციალური და მას აქვს ხელმისაწვდომობის სხვადასხვა დონე. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ყველა საჯარო ინფორმაცია, რომელსაც განსაზღვრავს ISO-17065, არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

მხოლოდ შპს კავკასსერტის და შპს ეკოგლობს აქვთ გრინ კაუკაზუსის ხარისხის სისტემის საავტორო უფლება. მისი კოპირება მთლიანად ან ნაწილობრივ აკრძალულია.

გრინ კაუკაზუსის ხარისხის სისტემა მომზადებულია ISO/IEC-17065 “ზოგადი მოთხოვნები ორგანიზაციისათვის, რომლებიც იყენებენ წარმოების სერტიფიცირების სისტემას” მიხედვით.

ქვემდებარე ხარისხის სახელმძღვანელო არის საჯარო დოკუმენტი და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის, ვინც დაინტერესებულია გრინ კაუკაზუსის საქმიანობით.

გრინ კაუკაზუსის სტანდარტი “ბიო პროდუქციის წარმოების, გადამუშავების, ნიშანდებისა და გასაღების სტანდარტი” შემუშავებულია კოდექს ალიმენტარიუსის დოკუმენტის “ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავების, ნიშანდების და გასაღების მოთხოვნების სახელმძღვანელოს” და IFOAM-ის სტანდარტის ბაზაზე და არის Council Regulation (EC) No 834/2007-ის, 889/2008 და 1235/2008 შესაბამისი.

შპს კავკასსერტი და შპს ეკოგლობი შეტანილი არიან ევროგაერთიანების მიერ მომზადებულ ექვივალენტური სერტიფიცირების ორგანიზების სიაში, რომელიც მომზადებულია ევრორეგულაციის EC regulation 1235/2008 არტიკლი 33-ის მოთხოვნის შესაბამისად. აღნიშნული სია გამოქვეყნებულია ევრორეგულაციაში EC Regulation 1267/2011.

სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია ზემოთ მოყვანილ დოკუმენტებთან და ამავდროულად მასში გათვალისწინებულია სომხეთისა და საქართველოს კანონმდებლობების მოთხოვნები, რაც იძლევა ამ სტანდარტის ადგილობრივ ბაზარზე გამოყენების საშუალებას.

სახელმძღვანელოსთან მუშაობის ინსტრუქცია

ქვემდებარე დოკუმენტში მოცემულია გრინ კაუკაზუსის სახელმძღვანელო პრინციპები ბიოლოგიური პროდუქციის სერტიფიცირების დარგში. ამ სახელმძღვანელოში აღწერილია გრინ კაუკაზუსის მიერ შეთავაზებული მომსახურება და ამ მომსახურების განხორციელების მექანიზმები და საშუალებები.

მასში ასევე ზოგადადაა აღწერილი გრინ კაუკაზუსის მუშაობის შიდაშემოწმების მექანიზმი, რომლის მიზანია მომსახურების მაღალი დონის უზრუნველყოფა.

ეს სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის, რომელიც დაინტერესებულია გრინ კაუკაზუსის მომსახურების მიღებით ან მისი საქმიანობის გაცნობით.

ხარისხის სახელმძღვანელო არის გრინ კაუკაზუსის ხარისხის სისტემის განუყოფელი ნაწილი პროცედურებისა და დოკუმენტების სახელმძღვანელოებთან ერთად.

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 2-19- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	------------------

შინაარსი

თავი	სათაური	გვ.
1	გრინ კაუკაზუსის იურიდიული სტატუსი	4
2	გრინ კაუკაზუსის მიზანი და მისი პოლიტიკა ხარისხთან მიმართებაში	5
3	გრინ კაუკაზუსის სტრუქტურული სქემა და პერსონალის აღწერა	7
3.1	ორგანიზაცია	7
3.2	პერსონალი და მისი ფუნქციები	7
3.3	პერსონალის შერჩევა, სწავლება და კონტროლი	9
4	ხარისხის სისტემა (დოკუმენტები და შიდაკონტროლი)	10
5	გრინ კაუკაზუსის მომსახურება	11
6	სერტიფიცირების სისტემა	12
7	შიდაშემოწმება და მაკორექტირებელი ქმედებები	14
8	ქვეკონტრაქტორები	15
9	კონფიდენციალობა	16
10	აპელაცია, საჩივრები და დისპუტები	17
11	პუბლიკაციები	18
12	მითითებები	19

Green Caucasus	ხარისხის სახელმძღვანელო Quality Manual	კოდი/Code GC/DM/QM-10.1
----------------	---	----------------------------

1. ბრინ კაუკაზუსის იურიდიული სტატუსი

ქართული სერტიფიცირების ორგანო შპს კავკასსერტი და სომხური სერტიფიცირების ორგანო შპს ეკოგლობი შეთანხმდნენ:

- გამოიყენონ საერთო ბიოსტანდარტი
- გამოიყენონ საერთო ხარისხის სისტემა
- გამოიყენონ საერთო სახელი გრინ კაუკაზუსი
- გამოიყენონ საერთო ლოგო
- გამოიყენონ საერთო ხარისხის მენეჯმენტის სისტემა

ორივე სერტიფიცირების ორგანო აკრედიტებულია გერმანული აკრედიტაციის ორგანოს DAP-ს მიერ 2008 წლის 9 იანვრიდან. შემდგომი აუდიტორული შემოწმებები ჩატარებულია DAP-ს მემკვიდრე ორგანიზაციის DAkkS-ის მიერ.

შპს კავკასსერტი და შპს ეკოგლობი შეტანილი არიან ევროკავშირის მიერ მომზადებულ ექვივალენტური სერტიფიცირების ორგანოების სიაში, რომელიც მომზადებულია ევროკავშირის EC regulation 1235/2008 არტიკლი 33-ის მოთხოვნის შესაბამისად. აღნიშნული სია გამოქვეყნებულია ევროკავშირის EC Regulation 1267/2011

ურთიერთობა შპს კავკასსერტსა და შპს ეკოგლობს შორის დარეგულირებულია ხელშეკრულებით რომელიც რეგისტრირებულია ორივე ქვეყანაში.

1.1 კავკასსერტის იურიდიული სტატუსი

იურიდიული სტატუსი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

ის დაფუძნებულია დამფუძნებელთა კრების მიერ 2005 წლის 12 სექტემბრის №1 ოქმით და რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2005 წლის 16 სექტემბრის №153/0004 გადაწყვეტილებით.

საქმიანობისას კავკასსერტი ხელმძღვანელობს ორგანიზაციის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობის ნორმებით.

კავკასსერტის იურიდიული მისამართია:

საქართველო, 0186 თბილისი, ჯიქიას ქუჩა №5

ტელ./ფაქსი: (+ 995 32) 38 05 20

ელფოსტა: caucascert@gol.ge

1.2 ეკოგლობის იურიდიული სტატუსი

იურიდიული სტატუსი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

ის დაფუძნებულია 2003 წლის 12 თებერვალს და დარეგისტრირებულია სომხეთის სახელმწიფო სააგენტოს მიერ. რეგისტრაციის ნომერი 273.110.03425.

ეკოგლობის იურიდიული მისამართია:

18/3 მხითარ ჰარეცი, ერევანი 375025, სომხეთის რესპუბლიკა

ტელ./ფაქსი: +37491418311; +37499221295; +37455575527

ელფოსტა: info@ecoglobeorganic.com; nuneemil@yahoo.com; nd@ecoglobeorganic.com; fa@ecoglobeorganic.com; ep@ecoglobeorganic.com.

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 4-19- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	------------------

2. ბრინ კაუკაზუს მისი პოლიტიკა ხარისხის მართვაში

2.1 ბრინ კაუკაზუსის მიზნებია.

- 2.1.1 საერთო ხარისხისა და სერტიფიცირების სისტემის შემუშავება და ოპერირება ბიოპროდუქციის სფეროში
- 2.1.2 ბიოპროდუქციის სერტიფიცირება საერთაშორისო დონეზე
- 2.1.3 ევროკავშირის EC Regulation 1235/2008 არტიკლი 33-ის მოთხოვნის შესაბამისად ევროკავშირის მიერ მომზადებულ ექვივალენტური სერტიფიცირების ორგანოების სიაში მოხვედრა
- 2.1.4 ბრინ კაუკაზუსის ხარისხის სისტემისა და მენეჯმენტის მუდმივი გაუმჯობესება
- 2.1.5 მომსახურების გაცემა ახალ რეგიონებში და ქვეყნებში

2.2 ამ მიზნების მისაღწევად ბრინ კაუკაზუსმა შეიმუშავა საკუთარი ხარისხის სისტემა. მისი შექმნისას ის ხელმძღვანელობდა ISO-17065-ით და ეყრდნობოდა როგორც კერძო, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

ბრინ კაუკაზუსს ჰყავს კვალიფიციური კადრები და აქვს ყველა საჭირო ტექნიკური საშუალება.

2.3 შემუშავებულია დოკუმენტაციისა და პროცედურების ზუსტი სისტემა, რომელშიც აღწერილია ყველა ქმედება, დაწესებული განაცხადის შემოტანით ნებისმიერი დაინტერესებული განმცხადებლისაგან ან ქვეკონტრაქტორისაგან, დამთავრებული გადაწყვეტილების მიღებით სერტიფიკატის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 3.

2.4 ბრინ კაუკაზუსში მოქმედი ხარისხის მართვის სისტემა ასახულია შემდეგ დოკუმენტებში:

- ხარისხის სახელმძღვანელო
- პროცედურების სახელმძღვანელო
- დოკუმენტების სახელმძღვანელო

2.5 ბრინ კაუკაზუსის ყველა თანამშრომელს კარგად აქვს გათვითცნობიერებული მის წინაშე დასახული ამოცანები და მათი განხორციელების მეთოდები, მოცემული ხარისხის სისტემის გამოყენების საშუალებით.

2.6 ბრინ კაუკაზუსის მომსახურება ხელმისაწვდომია ნებისმიერი განმცხადებლისათვის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

2.7 პოლიტიკა და პროცედურები, რომლითაც ხელმძღვანელობს ბრინ კაუკაზუსი, არადისკრიმინაციულია და მათი ადმინისტრირება ხდება არადისკრიმინაციულად.

2.8 ბრინ კაუკაზუსი არ უწევს საკონსულტაციო მომსახურებას ბიოპროდუქციის მოყვანა-გადამუშავების საკითხებში.

2.9 ბრინ კაუკაზუსი ინსპექტირებისას და სერტიფიცირებაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს სერტიფიცირების სისტემით.

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 5-19- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	------------------

Green Caucasus	ხარისხის სახელმძღვანელო Quality Manual	კოდი/Code GC/DM/QM-10.1
----------------	---	----------------------------

2.10 გრინ კაუკაზუსის თანამშრომლები თავიდანვე აცნობენ განმცხადებელს სერტიფიცირების სისტემის მოთხოვნებს და უზრუნველყოფენ მასთან შემდგომი ურთიერთობის გამჭვირვალობას. განმცხადებელი ყოველთვის იღებს მისი საწარმოო ერთეულის ინსპექტირების ანგარიშს.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 3.

2.11 გრინ კაუკაზუსის ტოპმენეჯერები (დირექტორები, მათი მოადგილეები) პასუხისმგებელი არიან იმაზე, რომ ხარისხის სისტემა გამოიყენებოდეს ორგანიზაციის მუშაობის ყველა ეტაპზე.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 2.

2.12 დირექტორები ზრუნავენ ორგანიზაციის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამისათვის ორგანიზაციას აქვს თანამშრომლების გეგმური სწავლების სისტემა.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 2.

2.13 პერიოდული შიდაშემოწმებების საშუალებით ხდება შესაძლო ნაკლოვანებების აღმოჩენა და ამ შემოწმებების ანგარიშების გაანალიზების შედეგად ისახება მათი დაძლევის გზები და ვადები.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 5.


2.14 დირექტორი ყოველწლიურად მიმოიხილავს ორგანიზაციის საქმიანობას. ის აანალიზებს წინა წლის შედეგებს და ამზადებს შემდეგი წლის გეგმას.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 2.

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 6-19- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	------------------

3 ბრინ კაუკაზუსის სტრუქტურული სქემა და თანამშრომელთა მოვალეობების აღწერა

3.1 ორგანიზაცია



3.2 მმართველი საბჭო

მმართველი საბჭო შედგება 3 ან 4 წევრისაგან, რომლებიც წარმოადგენენ ბიოაგროწარმოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროს. როტაციის პერიოდი არის 3 წელი. საბჭო იკრიბება წელიწადში მინიმუმ ერთხელ. მის ფუნქციებში შედის:

- უზრუნველყოფს სერტიფიცირების ორგანოს საქმიანობის მიუკერძოებლობა
- ხარისხის სისტემის და სტანდარტის მიმოხილვა და დამტკიცება
- ზედამხედველობა ხარისხის სისტემაზე
- წლიური ანგარიშის მიმოხილვა (ფინანსური, შიდაშემოწმება, მენეჯმენტის შეფასება)
- აპელაციის განხილვის ბოლო საფეხური (სასამართლომდე)

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 1.

3.3 პერსონალი და მისი ფუნქციები

ბრინ კაუკაზუსის წარმატებული ფუნქციონირებისათვის პერსონალის არჩევა ხდება კვალიფიკაციის მიხედვით, განსაზღვრული კრიტერიუმების გამოყენებით. ყველა თანამშრომელი კომპეტენტურია აგრობიოწარმოებაში, იცნობს საერთაშორისო

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 7-19- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	------------------

Green Caucasus	ხარისხის სახელმძღვანელო Quality Manual	კოდი/Code GC/DM/QM-10.1
----------------	---	----------------------------

სტანდარტების მოთხოვნებს და კარგად აქვს გათვითცნობიერებული გრინ კაუკაზუსის ხარისხის მართვის სისტემა.

გრინ კაუკაზუსის თანამშრომლები ნაჩვენებია ორგანიგრამაზე და ისინი პასუხისმგებელი არიან ინსპექტირებაზე, სერტიფიცირებაზე, ხარისხის მართვაზე და ფინანსურ საკითხებზე.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 2.

დამფუძნებლები და პერსონალი არ არიან დაკავებული ისეთი სახის საქმიანობით, რამაც შეიძლება წარმოქმნას ინტერესთა კონფლიქტი.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 4.

3.3.1 დირექტორი

ის პასუხისმგებელია ყველა საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ხარისხის სისტემის ფუნქციონირებასთან ორგანიზაციის ნებისმიერ დონეზე. ის ასევე პასუხისმგებელია სერტიფიცირების სისტემის გამართულ მუშაობაზე. დირექტორის პასუხისმგებლობაში შედის სერტიფიცირებაზე გადაწყვეტილების მიღება. დირექტორი არის გარანტი იმისა, რომ ყველა თანამშრომელი იცავს არსებული ხარისხის სისტემის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის ხარისხის სისტემის საიმედოობას.

დირექტორი პასუხისმგებელია მმართველი საბჭოს წინაშე, მაგრამ ამავდროულად მისი საქმიანობა გამჭვირვალე უნდა იყოს შიდაშემოწმებისას. დირექტორი ყოველი წლის ბოლოს მმართველი საბჭოს სხდომაზე ამზადებს წლიურ ანგარიშს. დირექტორი ნიშნავს თანამშრომლებს და მისი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა ზრუნვა პერსონალის კვალიფიკაციაზე. დირექტორს აქვს ინსპექტირების ჩატარების უფლება, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებას სერტიფიცირების შესახებ იღებს ინსპექტორი და ის ავსებს შესაბამის დოკუმენტაციას.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 2.

3.3.2 გრინ კაუკაზუსის ხარისხის სისტემის მენეჯმენტი

გრინ კაუკაზუსის ხარისხის მენეჯერის მოვალეობები:

- უზრუნველყოფს „გრინ კაუკაზუსის“ ხარისხის სისტემის გამართული მუშაობა;
- ამზადებს გრინ კაუკაზუსის შიდაშემოწმებების გეგმას;
- ატარებს გრინ კაუკაზუსის შიდაშემოწმებებს;
- ამზადებს შიდაშემოწმებების ანგარიშს, სადაც მითითებულია შეუსაბამობები და მაკორექტირებელი ქმედებები და აწვდის მათ ეკოგლობისა და კავკასსერტის დირექტორებს;
- ატარებს ტრენინგებს ხარისხის სისტემაში კავკასსერტისა და ეკოგლობის თანამშრომლებისათვის.

ეკოგლობის ხარისხის მენეჯერის მოვალეობები

- აკონტროლებს მაკორექტირებელი ქმედებების შესრულებას ეკოგლობში და მის შედეგებს ატყობინებს გრინ კაუკაზუსის ხარისხის მენეჯერს;
- განიხილავს ეკოგლობში შემოსულ პირველად აპელაციებს, საჩივრებს, დისპუტებს და განხილვის შედეგებს აწვდის გრინ კაუკაზუსის ხარისხის მენეჯერს;
- წელიწადის დასაწყისში და საჭიროების მიხედვით, ეკოგლობის თანამშრომლებს გადსაცემს ფორმას (წინადადებები ხარისხის სისტემის თაობაზე) და შიდაშემოწმებამდე 10 დღით ადრე აჯამებს ამ შენიშვნებს და აწვდის მათ გრინ კაუკაზუსის ხარისხის მენეჯერს.

კავკასსერტის ხარისხის მენეჯერის მოვალეობები

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 8-19- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	------------------

Green Caucasus	ხარისხის სახელმძღვანელო Quality Manual	კოდი/Code GC/DM/QM-10.1
----------------	---	----------------------------

- აკონტროლებს მაკორექტირებელი ქმედებების შესრულებას კავკასსერტში და მის შედეგებს ატყობინებს გრინ კაუკაზუსის ხარისხის მენეჯერს;
- განიხილავს კავკასსერტში შემოსულ პირველად აპელაციებს, საჩივრებს, დისპუტებს და განხილვის შედეგებს აწვდის გრინ კაუკაზუსის ხარისხის მენეჯერს;
- წელიწადის დასაწყისში და საჭიროების მიხედვით, კავკასსერტის თანამშრომლებს გადასცემს ფორმას (წინადადებები ხარისხის სისტემის თაობაზე) და შიდაშემოწმებამდე 10 დღით ადრე აჯამებს ამ შენიშვნებს და აწვდის მათ გრინ კაუკაზუსის ხარისხის მენეჯერს.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 2 და 5.

3.3.3 ინსპექტორი

ინსპექტორი კარგად ფლობს გრინ კაუკაზუსის სამუშაო სტანდარტს და პასუხისმგებელია ინსპექტირებაზე. მან კარგად იცის გრინ კაუკაზუსის ხარისხის მართვისა და სერტიფიცირების სისტემა და პასუხისმგებელია მისი მოთხოვნების შესრულებაზე ინსპექტორის დონეზე.

მას არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი განმცხადებლებთან.

ინსპექტორი მუდმივად ზრუნავს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე და პასუხისმგებელია დირექტორის წინაშე.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 2.

3.3.4 ბუღალტერი

თითოეულ კომპანიას ჰყავს საკუთარი ბუღალტერი.

ბუღალტერი პასუხისმგებელია ორგანიზაციის საბუღალტრო სისტემის გამართულ მუშაობაზე. ის მუდმივად ზრუნავს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე და პასუხისმგებელია დირექტორის წინაშე. სასურველია, ბუღალტერმა იცოდეს ბიოწარმოების ზოგადი პრინციპები, რათა საჭიროების შემთხვევაში შეითავსოს ადმინისტრაციული საქმიანობა.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 2.

3.4 პერსონალის შერჩევა, სწავლება და შეფასება

3.4.1 თანამშრომლების შერჩევა ხდება მათი კვალიფიკაციის შეფასებით. ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც შეესაბამება მათ მიერ შესასრულებელ მოვალეობებს.

3.4.2 თანამშრომლები ვალდებული არიან მუდმივად იზრუნონ სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ხარისხის სისტემის ცოდნის გაღრმავებაზე.

დირექტორი სისტემატურად აკონტროლებს თანამშრომლების მუშაობას, მათი ცოდნის დონესა და სამუშაო დისციპლინას.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 2.

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 9-19- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	------------------

4 ბრინ კაუკაზუსის ხარისხის სისტემა

4.1 ბრინ კაუკაზუსის ხარისხის სისტემა მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

- ხარისხის სახელმძღვანელო
- პროცედურების სახელმძღვანელო
- დოკუმენტების სახელმძღვანელოში
- ბრინ კაუკაზუსის სტანდარტი ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავების, ნიშანდებისა და გასაღების შესახებ

ხარისხის სისტემა შეიცავს დეტალურ ინფორმაციას ყველა იმ ქმედების შესახებ, რომელთაც ატარებს ბრინ კაუკაზუსი სერტიფიცირების პროცესის დროს. შიდაშემოწმების მექანიზმი უზრუნველყოფს სისტემის მუდმივ სრულყოფას.

4.2 დოკუმენტების შემუშავება ხდება ხარისხის მენეჯერის მიერ ან მისი ზედამხედველობის ქვეშ. დოკუმენტების შემუშავება და მათში ცვლილების შეტანა ხდება საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებზე დაყრდნობით, ასევე შიდაშემოწმების ანგარიშის გათვალისწინებით.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 9.

4.3 ბრინ კაუკაზუსის ხარისხის სისტემა უზრუნველყოფს სერტიფიცირების პროცესის კონფიდენციალობას, მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას.

ბრინ კაუკაზუსი ატარებს ყველა აუცილებელ ქმედებას რათა უზრუნველყოს თავისი ქმედებების მიუკერძოებლობა და ობიექტურობა.

ბრინ კაუკაზუსი არ ეწევა ბიოპროდუქციის წარმოებას ან მომარაგებას.

ბრინ კაუკაზუსი არ ეწევა საკონსულტაციო ან სამრეწველო საქმიანობას.

ბრინ კაუკაზუსი არ ეწევა არანაირ საქმიანობას ან მომსახურებას, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს კონფიდენციალობაზე, მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაზე სერტიფიცირების პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 4.

4.4 ბრინ კაუკაზუსი დამოუკიდებლობის და ობიექტურობის შესანარჩუნებლად გამორიცხავს ეკონომიკურ დამოკიდებულებას ერთი კლიენტზე. ბრინ კაუკაზუსის წესია, რომ ერთი კლიენტისგან მიღებული შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს საერთო შემოსავლის 10%-ს.

4.5 ბრინ კაუკაზუსში არსებული ყველა დოკუმენტი კოდირებულია და ინახება შესაბამისად. ნებისმიერი ცვლილება დოკუმენტში ან მისი გამოყენების წესში რეგულირდება ბრინ კაუკაზუსის შესაბამისი პროცედურით და ამავე პროცედურების შესაბამისად ფიქსირდება დოკუმენტალურად.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო თავი 9.

4.6 ბრინ კაუკაზუსის პროცედურებში განსაზღვრულია, თუ რომელ დოკუმენტზე ვის მიუწვდება ხელი.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 9.

4.7 ბრინ კაუკაზუსს აქვს დაზღვევა, რომელიც ფარავს ინსპექტირებისა და სერტიფიცირების პროცესში შესაძლო ზარალს (თანამშრომლის მიერ ინსპექტირებისა და სერტიფიცირებაზე გადაწყვეტილების მიღებისას მიყენებული ზარალი).

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 10- 19-დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	-------------------

Green Caucasus	სარისხის სახელმძღვანელო Quality Manual	კოდი/Code GC/DM/QM-10.1
----------------	---	----------------------------

5. ბრინ კაუკაზუსის მომსახურება

5.1 ბრინ კაუკაზუსი სთავაზობს მომხმარებელს შემდეგი სახის მომსახურებას:

- წარმოების პროცესის ინსპექტირება და სერტიფიცირება;
- გადამუშავების პროცესის ინსპექტირება და სერტიფიცირება;
- გასაღების ობიექტის ინსპექტირება და სერტიფიცირება.

კავკასსერტი და ეკოგლობი მუშაობენ ბრინ კაუკაზუსის სტანდარტის მიხედვით რომელიც ევროგაერთიანების სტანდარტების Council Regulation (EC) No 834/2007, 889/2008 და 1235/2008 ექვივალენტურია.

განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად შესაძლებელია სხვა სტანდარტებით მუშაობა. ამ შემთხვევაში ბრინ კაუკაზუსი ზედმიწევნით უხსნის განმცხადებელს სერტიფიკატის მოქმედების სფეროს.

5.2 თანამშრომლების მიერ კონფლიქტთა ინტერესის არიდებით, ბრინ კაუკაზუსი იძლევა მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების გარანტიას.

5.3 სხვა საქმიანობა

ბრინ კაუკაზუსის ფინანსური სტაბილურობისათვის, სერტიფიცირების ორგანოებს ერთად ან ცალ-ცალკე შეუძლიათ გააფართოონ თავიანთი საქმიანობა სხვა სფეროებში, რომელიც არ წარმოქმნიან არანაირ ინტერესთა კონფლიქტს ბიოპროდუქციის სერტიფიცირებაში.

ბრინ კაუკაზუსი სთავაზობს ფასიან მომსახურებას. საფასური ფიქსირდება ხელშეკრულებაში, სერტიფიცირების ორგანოში არსებული ტარიფების მიხედვით. იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 3.

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 11- 19-დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	-------------------

6. სერტიფიკაციის სისტემა

6.1 სერტიფიკაციის პროცესი შედგება სხვადასხვა ქმედებისაგან. ის იწყება სერტიფიკაციაზე განაცხადის შემოტანით და მთავრდება სერტიფიკატის გაცემით, რომელსაც მოსდევს განმცხადებლის საქმიანობის შემდგომი შემოწმება. ეს პროცესი გამჭვირვალეა და ეყრდნობა შესაბამის პროცედურებსა და დოკუმენტებს.

6.2 გამჭვირვალეობის უზრუნველსაყოფად ტარდება შემდეგი ქმედებები:

- დაინტერესებული პირი იღებს სრულ ინფორმაციას ხარისხის სისტემის შესახებ;
- განმცხადებელმა უნდა შეავსოს განაცხადის ბლანკი და წარადგინოს სრული დოკუმენტური მასალა და დადასტურებული მონაცემები მისი საწარმოს შესახებ;
- გრინ კაუკაზუსი სასერტიფიკაციო მომსახურებას იწყებს ხელშეკრულების დადების მერე;
- ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს განაცხადის შეტანისას ან პირველადი შეფასების პროცესში, რომლის დროსაც გრინ კაუკაზუსი აფასებს თავისი კომპეტენციის საკმარისობას მომსახურების გასაწევად.
- განაცხადის წინასწარი შეფასებისას ყურადღება ექცევა შემდეგ საკითხებს:
 - ა) გრინ კაუკაზუსის სერტიფიკაციის სისტემის მოთხოვნები ზუსტად არის ახსნილი და დოკუმენტირებული
 - ბ) განმცხადებელსა და სერტიფიკაციის ორგანოს შორის ყველა აზრთა სხვადასხვაობა საკითხის გაგებათან დაკავშირებით არის გადაჭრილი
 - გ) სერტიფიკაციის ორგანოს აქვს შესაძლებლობა გაუწიოს განმცხადებელს მომსახურება

6.3 ინსპექტირება

- ინსპექტორი ეცნობა არსებულ დოკუმენტაციას და ატარებს ინსპექციას
- განმცხადებლის ინსპექტირებისას და ანგარიშის მომზადებისას ინსპექტორი ხელმძღვანელობს გრინ კაუკაზუსის სამუშაო სტანდარტებით
- ინსპექციის ჩატარების შემდეგ ინსპექტორი ამზადებს ანგარიშს, სადაც მითითებულია შეუსაბამობები და ქმედებები მათ გამოსასწორებლად
- ინსპექტორის ანგარიშის საფუძველზე დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას სერტიფიკაციის შესახებ
- სტანდარტების დარღვევა რეგულირდება სანქციების კატალოგით, რომელიც არის საჯარო დოკუმენტი
- დირექტორი საჭიროების შემთხვევაში იყენებს სანქციებს
- განმცხადებელი იღებს ანგარიშისა და გადაწყვეტილების ბლანკს
- სერტიფიკაციის სფერო განსაზღვრულია ხელშეკრულებით სერტიფიკაციის ორგანოსა და მეწარმეს შორის. ინსპექტირება ხდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ
- როგორც წესი სერტიფიკატის მოქმედების ვადა არის ერთი წელი

განმცხადებლის შეფასება ხდება მხოლოდ გრინ კაუკაზუსის სამუშაო სტანდარტების მიხედვით.

ყველა ზემოთ ნახსენები ქმედება ეფუძნება შესაბამის პროცედურასა და დოკუმენტს.

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 12- 19-დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	-------------------

Green Caucasus	სარისხის სახელმძღვანელო Quality Manual	კოდი/Code GC/DM/QM-10.1
----------------	---	----------------------------

6.4 საჩივრები მომწოდებელთან

გრინ კაუკაზუსი სერტიფიცირებული პროდუქციის მომწოდებლებისაგან ითხოვს:

- ა) ყველა სახის საჩივრის დაფიქსირებას მათ მიერ მოწოდებულ პროდუქციასთან დაკავშირებით. ეს ჩანაწერები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სერტიფიცირების ორგანოსათვის საჭიროების შემთხვევაში;
- ბ) გაატაროს ყველა შესაბამისი ღონისძიება ასეთი სახის საჩივრების და სერტიფიცირების ორგანოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- გ) ყველა ქმედება უნდა იყოს დოკუმენტირებული.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 3.

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 13- 19-დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	-------------------

Green Caucasus	ხარისხის სახელმძღვანელო Quality Manual	კოდი/Code GC/DM/QM-10.1
----------------	---	----------------------------

7. შიდაშემოწმება და მაკორექტირებელი ქმედებები

- 7.1 ხარისხისა და სერტიფიცირების სისტემის სრულყოფისათვის და შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის გრინ კაუკაზუსი ატარებს შიდაშემოწმებებს.
 - 7.2 წლის დასაწყისში მზადდება შიდაშემოწმებების გეგმა. გეგმა ისეა შედგენილი, რომ წლის განმავლობაში მოხდეს ყველა დოკუმენტის შემოწმება.
 - 7.3 ხარისხისა და სერტიფიცირების სისტემის შიდაშემოწმებას ატარებს გრინ კაუკაზუსის ხარისხის მენეჯერი.
 - 7.4 შიდაშემოწმების ანგარიშის საფუძველზე, დირექტორი შესაბამის თანამშრომელს ავალებს შემოწმებისას აღმოჩენილი უზუსტობების შესწორებას – მაკორექტირებელ ქმედებებს.
 - 7.5 ამ ქმედებების შესრულებას აკონტროლებს ხარისხის მენეჯერი.
- იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 5.

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 14- 19-დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	-------------------

Green Caucasus	ხარისხის სახელმძღვანელო Quality Manual	კოდი/Code GC/DM/QM-10.1
----------------	---	----------------------------

8. ქვეკონტრაქტორები

8.1 ხელშეკრულების გაფორმება ქვეკონტრაქტორებთან მიზნად ისახავს გრინ კაუკაზუსის იმ სპეციფიკური ვალდებულებების დელეგირებას სხვა ორგანიზაციაზე ან კერძო პირზე (მაგ. ნიადაგის, წყლის და მცენარის ლაბორატორიული ანალიზების ჩატარება), რომლებიც სცილდება გრინ კაუკაზუსის კომპეტენციას.

8.2 განმცხადებელი ეთანხმება გრინ კაუკაზუსის გადაწყვეტილებას სუბკონტრაქტორის მომსახურების გამოყენების შესახებ.

8.3 გრინ კაუკაზუსი თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას ქვეკონტრაქტორის მიერ ჩატარებული ანალიზების ხარისხზე.

8.4 გრინ კაუკაზუსი იძლევა იმის გარანტიას, რომ:

- ქვეკონტრაქტორი ლაბორატორია არის კომპეტენტური
- ლაბორატორიას აქვს აკრედიტაცია ISO 17025 მიხედვით
- არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 8.

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 15- 19-დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	-------------------

Green Caucasus	ხარისხის სახელმძღვანელო Quality Manual	კოდი/Code GC/DM/QM-10.1
----------------	---	----------------------------

9. კონფიდენციალობა

9.1 გრინ კაუკაზუსი იცავს სერტიფიკაციის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალობას თავისი საქმიანობის ნებისმიერ დონეზე, მათ შორის არასრულ შტატში მყოფი თანამშრომლების, კონსულტანტების სუბკონტრაქტორების, მმართველი საბჭოსა და დამფუძნებელთა კრების დონეზე.

9.2 გრინ კაუკაზუსი აღიარებს, რომ განმცხადებელს აქვს უფლება მოითხოვოს თავისი საქმიანობის კონფიდენციალობის დაცვა და თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ სერტიფიცირების პროცესში მიღებული ინფორმაცია (წერილობითი, სიტყვიერი თუ ვიზუალური) განმცხადებლის შესახებ არ გაიციემა მესამე პირზე, ამაზე განმცხადებლის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.3 აქედან გამომდინარე, გრინ კაუკაზუსი მის თანამშრომლებს და ქვეკონტრაქტორებს ხელს აწერინებს კონფიდენციალობის ბლანკზე.

9.4 ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ მასთან შეთანხმების გარეშე გაიციემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ორგანო, რომელსაც აქვს კანონით გათვალისწინებული უფლება ან სასამართლოს დადგენილება ამის შესახებ.

ხელშეკრულების დადებისას გრინ კაუკაზუსი წინასწარ აფრთხილებს განმცხადებელს ასეთი შემთხვევების შესაძლებლობის შესახებ და იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ აცნობოს მას ამის თაობაზე.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 6.

9.5 გრინ კაუკაზუსს აქვს დოკუმენტების კონტროლის სისტემა, რომლის მიხედვითაც დოკუმენტები, კოდით “კონფიდენციალური”, ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ პერსონალისათვის, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამის პროცედურაზე.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 9.

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 16- 19-დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	-------------------

Green Caucasus	ხარისხის სახელმძღვანელო Quality Manual	კოდი/Code GC/DM/QM-10.1
----------------	---	----------------------------

10. აპელაცია, საჩივრები და დისპუტები

გრინ კაუკაზუსს აქვს სპეციალური პროცედურები აპელაციების, საჩივრებისა და დისპუტების გადასაწყვეტად.

10.1 აპელაციები

10.1.1 იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არ ეთანხმება გრინ კაუკაზუსის გადაწყვეტილებას სერტიფიცირებაზე, მას აქვს აპელაციის უფლება.

10.1.2 აპელაციების განხილვა ხარისხის მენეჯერის პასუხისმგებლობაა.

10.1.3 ხარისხის მენეჯერი განიხილავს საკითხს და მის შედეგებს მოახსენებს დირექტორს.

10.1.4 განმცხადებელი ინფორმირდება გადაწყვეტილების შესახებ.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 7.

10.2 საჩივრები და დისპუტები

10.2.1 კლიენტებისაგან, სხვა დაინტერესებული პირებისაგან ან ორგანიზაციებისაგან გრინ კაუკაზუსში შემოსული ყველა საჩივარი და დისპუტი რეგისტრირდება და მათი განხილვა ხდება სპეციალური პროცედურის მიხედვით.

10.2.2 მათ განხილვას ახდენს გრინ კაუკაზუსის ხარისხის მენეჯერი და შედეგების შესახებ ატყობინებს დირექტორს. ეს ქმედებები და მათი ეფექტიანობა არის დოკუმენტირებული.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 7.

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 17- 19-დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	-------------------

Green Caucasus	ხარისხის სახელმძღვანელო Quality Manual	კოდი/Code GC/DM/QM-10.1
----------------	---	----------------------------

11. პუბლიკაციები

გრინ კაუკაზუსის საქმიანობისა და მომსახურების გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მისაღწევად შემდეგი სახის პუბლიკაციები მიეწოდება დაინტერესებულ პირებს:

- ხარისხის სახელმძღვანელო;
- ბიოლოგიური აგროწარმოების სტანდარტი;
- აკრედიტაციის საბუთი;
- სუბკონტრაქტორების სია;
- სერტიფიცირებული განმცხადებლების სია;
- სერტიფიცირების გადასახადების ნუსხა;
- ანულირებული სერტიფიკატების სია (მოთხოვნის შემთხვევაში);
- განაცხადის ფორმა;
- სანქციები (მოთხოვნის შემთხვევაში)

ეს დოკუმენტაცია ყოველთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის კავკასურტისა და ეკოგლობის ოფისებში.

იხ. პროცედურების სახელმძღვანელო, თავი 10.

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 18- 19-დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	-------------------

Green Caucasus	ხარისხის სახელმძღვანელო Quality Manual	კოდი/Code GC/DM/QM-10.1
----------------	---	----------------------------

12. მითითებები

12.1 ISO/IEC GUIDE 17065 .

12.2 ISO 10011-1:1990, ხარისხის სისტემის შემოწმების სახელმძღვანელო. ნაწილი I. შემოწმება.

12.3 ISO/IEC სახელმძღვანელო 17025:201, შემოწმებელი ლაბორატორიების კომპეტენტობის შეფასების საერთო მოთხოვნები.

12.4 ევრორეგულაციები Council Regulation (EC) No 834/2007, 889/2008, 1235/2008 და 1267/2011.

12.5 კოდექს ალიმენტარიუსის დოკუმენტი “ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავების, ნიშანდების და გასაღების მოთხოვნების სახელმძღვანელო”.

12.6 IFOAM-ის სტანდარტი.

12.7 გრინ კაუკაზუსის სტანდარტი “ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავების, ნიშანდების და გასაღების შესახებ”.

12.8 გრინ კაუკაზუსის პროცედურების სახელმძღვანელო

12.9 გრინ კაუკაზუსის დოკუმენტების სახელმძღვანელო

12.10 USDA NOP 7CFR 205

შექმნა: ზ.ნ. თარ: 15.07.07	განიხილა: ნ.დ; დ.ბ. თარ: 10.05.17	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 10.05.17	არა კონფიდენციალური	ვერსია: 5	გვ: 19- 19-დან
----------------------------------	---	-------------------------------------	------------------------	--------------	-------------------